



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

თარიღი: 16 ივლისი, 2021

მისამართი: თელავი, უნივერსიტეტის ქ 5ა.

სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაში მონაწილე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ციცილო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი. დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრები: ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი.

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება**

წევრები გაეცნენ გიორგი ქანთარიას, გიორგი ჩაკვეტაძის, ირაკლი მელქაძის და ირაკლი გორგაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი

ქანთარიას, გიორგი ჩაკვეტაძის, ირაკლი მეღვინის და ირაკლი გორგაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

## საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ლევან საჩიშვილის, სალომე ლურსმანაშვილის, ლევანი გელაშვილის, დავით ბერძულის, დავით მესხიშვილის, დარინა კოჩალიძის, ნონა გველესიანის, გურამ ჩადუნელის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლევან საჩიშვილის, სალომე ლურსმანაშვილის, ლევანი გელაშვილის, დავით ბერძულის, დავით მესხიშვილის, დარინა კოჩალიძის, ნონა გველესიანის, გურამ ჩადუნელის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

## საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ქრისტინე ჩილინგარაშვილის, ქეთევან იაშვილის, მანუჩარ ჭუმბურიძის, თემურ თოლორაიას, კახაბერ სოსელიას და შოთა გაბიტაშვილის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად შემოსული 2021 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა (განმცხადებლები: ნიკოლოზ ზაქარაია, თეონა ტაბატაძე, ანა გუჯარაიძე, თემირ გვიშიანი, კახაბერ ჭიბრიშვილი, ხატია ქუბრიაშვილი, ნუნუ ჩოჩელი, ლაშა გოლუბიანი, ელენე კავთუაშვილი, გიგა კოლუა, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, შორენა ბარათაშვილი, ლალი ეუაშვილი,

სოფიო გოგლიჩიძე, ივანე იორამაშვილი, ჯონი ქობალაია, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, ივანე სვიმონიშვილი, რუსუდან კვინიკაძე, ავთანდილ ბუაძე, დავით კორკოტაშვილი, მირიან პეტრიაშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, მათა გულიაშვილი, კოკი კობახიძე, თეიმურაზ მეზვრიშვილი, ტრისტან ლომიძე, მალხაზ ბოლქვაძე, თამარი ლომთაძე, დარეჯან ზედგინიძე, თამაზ სვანიშვილი, მევლუდ ჯანჯღავა, მარინა ჯანიაშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, სალომე ზურაბიანი, თეონა გუგუშვილი, თეონა ქარჩავა, მანანა გელაშვილი, მარინე ჭყონია, ილია ნაცვლიშვილი, რაფაელ ამბარცუმიანი, ნანა როსტიაშვილი, მარიამ სეზისკვერაძე, თემურ გიკაშვილი, ნელი იასალაშვილი, მთვარისა კველიშვილი, მათა კაკუბავა, ნინო აბაიშვილი).

**ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: წინამდებარე საკითხი განხილულ იქნა დღის წესრიგის „საკითხი 5“-ის ფარგლებში.**

**საკითხი 5. 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.**

დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით 2021 წლის 18 მაისიდან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 18 ივნისი, ხოლო 2021 წლის 18 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 ივლისამდე. 2021 წლის 01 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 16 ივლისამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეის მდგომარეობით, 639 ადვოკატს ერიცხება 2021 წლის საწევრო დავალიანება. ამასთან, წევრთა გარკვეულმა რაოდენობამ მომართა ასოციაციას საწევროს გადახდის სხვადასხვა ვადით გადავადებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება დამატებით, 16 კალენდარული დღით - 2021 წლის 02 აგვისტომდე.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 16 კალენდარული დღით, ანუ 2021 წლის 02 აგვისტომდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 16 კალენდარული დღით და ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 02 აგვისტო.
2. დღის წესრიგით გათვალისწინებული მე - 4 საკითხის განხილვა ასევე გადაიდოს 2021 წლის 02 აგვისტომდე.

**საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.**

წევრები გაეცნენ ოთარ ხურციძის, დათუნა მოდებაძის და გიორგი კაკუბავას განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ოთარ ხურციძის, დათუნა მოდებაძის და გიორგი კაკუბავას კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 7. სხვადასხვა**

წევრები გაეცნენ:

(ა) მარია შირიანიანის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი დასაქმებული იყო ერთ-ერთ საადვოკატო ბიუროში და პარალელურად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირების კურსს გადიოდა ამავე კომპანიაში. გამომდინარე იქიდან, რომ მან შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან, სურდა უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების შეწყვეტა და გაგრძელება სხვა მენტორთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარია შირინიანის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.**

(ბ) ნინო უთურაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი დასაქმებული იყო ერთ-ერთ საადვოკატო ბიუროში და პარალელურად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში სტაჟირების კურსს გადიოდა ამავე კომპანიაში. გამომდინარე იქიდან, რომ მან შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან, სურდა უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების შეწყვეტა და გაგრძელება სხვა მენტორთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო უთურაშვილის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.**

(გ) თენგიზ ხუხიას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2017 წლიდან იგი იყო საპენსიო ასაკის მქონე წევრი და საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდა რეგიონში. შესაბამისად, როგორც საპენსიო ასაკის მქონე წევრი, იხდიდა 50%-იან საშელავათო საწევროს. განცხადებაში ითხოვდა საპენსიო ასაკის და რეგიონში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველზე, 75%-იანი საშელავათო საწევროს გავრცელებას და 2017-2021 წლებში გადახდილი საწევროების გადანაწილებას მომდევნო 5 წელზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ თენგიზ ხუხიას განცხადება 75% -იანი საშელავათო საწევროს გავრცელების საფუძველზე, მის მიერ გადახდილი საწევროს მომდევნო 5 წლის ვადაზე გადანაწილების შესახებ ვერ დაკმაყოფილდება, რადგან აღმასრულებელმა საბჭომ 2019 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება 75%-იანი საწევრო შეღავათის განსაზღვრის შესახებ საპენსიო ასაკის მქონე წევრებზე, რომლებიც ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს რეგიონებში.

შესაბამისად, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს თენგიზ ხუხიას მიმართ

2019 წლიდან 75%-იანი საშელავათო საწევროს გავრცელების და მის მიერ 2017 -2021 წლებში გადახდილი თანხების ბოლო 3 წელზე ანუ 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით გადანაწილების შესახებ.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:**

- ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს თენგიზ ხუბიას განცხადება და 75% - იანი საშელავათო საწევროს გავრცელების საფუძველზე, მის მიერ 2017 -2021 წლებში გადახდილი საწევრო გადანაწილდეს 3 წელზე - 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით.
- გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.
- გადაწყვეტილების ასახვა შესაბამის ბაზაში დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**დავით ასათიანი**  
**თავმჯდომარე**